ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ ახალ წელს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 1 (5031)

1974 წ. 1 იანვარი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ლაურეატები

### საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი

საქართველოს სპორტული ჟურნალისტები დიდ გასაჭირში აღმოჩნდნენ რესპუბლიკის ათი საუკეთესო სპორტსმენის დასასახელებლად თავიანთი ტრადიციული წინასაახალწლო ანკეტის ჩატარების დროს. სულ დასახელებული აღმოჩნდა 27 სპორტსმენი. ამ სპორტსმენებმა 1973 წელს დიდი წარმატებები მოიპოვეს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, საინტერესო ფურცლები ჩაწერეს საბჭოთა სპორტის ისტორიაში.

მხოლოდ ერთ საკითხში გამოიჩინეს ერთსულოვნება გამოკითხვის მონაწილე ჟურნალისტებმა: 1973 წლის № 1 სპორტსმენად დაასახელეს შესანიშნავი ქართველი მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და სამბოში ლევან თედიაშვილი. ამ სახელგანთქმულმა ფალავანმა წინა წლებში მოპოვებულ ჯილდოებს მსოფლიო სარბიელზე მოხვეჭილი ორი ოქროს მედალი დაუმატა და ყველა გააცვიფრა უაღრესად დახვეწილი ტექნიკით.

მეორე ადგილზე აღმოჩნდა ახევე მსოფლიო ჩემპიონი, ოღონდ სპორტის სხვა სახეობაში — ძალოსნობაში. ეს გახლავთ საბჭოთა ძალოსნობის ვეტერანი დიტო შანიძე, რომელმაც დაამტკიცა, რომ ფენომენალური ნებისყოფისა და სპორტის სიყვარულის წინაშე ასაკიც კი უკან იხევს.

შესანიშნავ ჩოგბურთელს ალექსანდრე მეტრეველს სპორტული ჟურნალისტები მუდამ ასახელებენ საუკეთესოთა შორის. ახლა იგი მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

ათეულში პირველად მოხვდა მესტენდურე ტარიელ ჟღენტი. მისი წარმატებები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში და საბჭოთა გუნდის გამარჯვებაში შეტანილი წვლილი სათანადოდ დააფასეს საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა.

წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის მეხამედ ვხედავთ მშვილდოსან ქეთევან ლოსაბერიძე-ბვეტაძეს.

ჟურნალისტებმა მეექვსე ადგილი მიაკუთვნეს სამბისტ შენადი ბიორბაძეს, რომელმაც ყველას აჯობა პირველად გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში და ჭიდაობის საუცხოო მცოდნე ირანელების დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

სასიხარულოა, რომ ათი უძლიერესის რიცხვში მძლეოსნობის წარმომადგენელიც მოხვდა. ეს გახლავთ თარჯმორბენალი ანატოლი მოშიაშვილი.

ბოლო წლებში ქართული ტანვარჯიშის სკოლამ თანდათან დაიწყო ლამის დაკარგული სახელის დაბრუნება. ამას მოწმობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ პაატა შამუგიას გამარჯვება სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. ჟურნალისტებმა შამუგია წლის საუკეთესო სპორტსმენებში დაასახელეს.

ქართველ ფეხბურთელებს 1973 წელს მაინცდამაინც არ გაუხარებიათ გულშემატკივრები, მაგრამ ჟურნალისტებმა ათეულში მაინც დაასახელეს თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი მანუჩარ მაჩაიძე.

წინასაახალწლო ანკეტის შედეგებში რამდენიმეჯერ გვხვდება სიტყვა „პირველად". მაგალითად, უძლიერესთა რიცხვში ახლა პირველად მოხვდა ჩოგბურთის ორი წარმომადგენელი: ათეულში მეტრეველთან ერთად დასახელებულია სწრაფად მზარდი სპორტსმენი თეიმურაზ კაკულია.

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია თავის ლაურეატებს ულოცავს ახალ წელს, უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ-ახალ გამარჯვებებს საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

(საქინფორმი).

(დასასრული მე-2 გვ.).



გ. იაშვილის ნახატი.

## საუკეთესონი

წლის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელეს თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, აგრეთვე, მოსკოვსა და ლენინგრადში. აი, ზოგიერთი მათგანი:

მოსკოვის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელებული არიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები ფიგურულ ციგურაობაში ი. როდნინა და ა. ზაიცევი.

წლის საუკეთესო სპორტსმენად ლენინგრადში მიჩნეულია ძალოსანი ა. პერვუშინი.

ლიტვის უძლიერეს სპორტსმენთა სიას სათავეში უდგას მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ნიჩბოსნობაში ვ. ჩესიუნასი.

ბელორუსიის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასეთია: 1. ა. კედიაროვი (ტყვიის სროლა), 2. ო. კორბუტი (სპორტული ტანვარჯიში), 3. ვ. სიულჟინი (თავისუფალი ჭიდაობა), 4. ვ. სიდიაკი (ფარიკაობა), 5. ვ. ზუბკოვი (კლასიკური ჭიდაობა), 6. ლ. ლიბერმანი (თავისუფალი ჭიდაობა), 7. ნ. ხოხოლი (ნიჩბოსნობა), 8. მ. ჟელობოვსკი (მძლეოსნობა), 9. ა. გაზოვი (ტყვიის სროლა), 10. გ. ლოდვინოვა (მხატვრული ტანვარჯიში).

აზერბაიჯანში დასახელებულია უძლიერეს სპორტსმენთა ხუთეული: 1. რ. ბაჯიევი (თავისუფალი ჭიდაობა), 2. ი. რისკალი (ფრენბურთი), 3. ვ. კრივცოვი (ცურვა), 4. ხელბურთელ ქალთა გუნდი, 5. ხ. ჯაფაროვი (სასტენდო სროლა).

ორიგინალური ანკეტა მოეწყო ლატვიაში. იქ ვაჟებში წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ი. ლუსისი (მძლეოსნობა), ქალებში — უ. სემიონოვა (კალათბურთი). ლატვიის ყველაზე პოპულარულ გუნდად მიჩნეულია კალათბურთელ ქალთა კლუბი ტტტ, ყველაზე პოპულარულ მეკარედ — ვ. ტიხონოვი (რიგის „დინამოს" ჰოკეისტთა გუნდის მეკარე). ყველაზე დიდ პროგრესად მიჩნეულია ჰოკეისტთა გუნდის წარმატებები.

## 19 45

◆ ზოლინგენი, 31 დეკემბერი. საბჭოთა მოჭადრაკემ ვ. კორჩნოიმ აქ საწვრთნელ მატჩში სძლია რ. ჰიუბნერს (გფრ) — 4,5:3,5. პირველი ორი პარტია კორჩნოიმ მოიგო, მესამე — ჰიუბნერმა, დანარჩენი ხუთი კი ყაიმით დამთავრდა.

◆ ჰასტინგსი, 31 დეკემბერი. აქ მიმდინარე ტრადიციულ საახალწლო ტურნირში 4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ გლიგორიჩი (იუგოსლავია) და ტიმანი (ჰოლანდია) — 3-3 ქულა. საბოს (უნგრეთი) 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. საბჭოთა მოჭადრაკეებს კუზმინსა და ტალს 2-2 ქულა და თითო დაუმთავრებელი პარტია აქვთ. IV ტურში ტალი კინს (ინგლისი) დაუზავდა, კუზმინი კი — ადორიანს (უნგრეთი).

## 1973 წლის დამლევს

### კოლმეურნეობის დახმარება

ზელიონი დიდი სოფელია — ცხრაას კომლს ითვლის. ფიზკულტურის მოყვარულები ყოველ ოჯახში არიან. სოფელს ჰყავს ფეხბურთელთა და ჰოკეისტთა ორ-ორი გუნდი, ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივები. სულ ათი სახეობაა დანერგილი, მათ შორის — წყალბურთი, ჩოგბურთი, კლასიკური ჭიდაობა.

ფიზკულტურის ასეთ განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ადგილობრივ კოლმეურნეობას — „გზა კომუნიზმისკენ". მეურნეობას დიდი შემოსავალი აქვს მემინდვრეობისა და მეცხოველეობისგან. აქედან ათი ათასი მანეთი ყოველწლიურად სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვისაა გამოყოფილი. კოლმეურნეობის სახსრებით აიგო სტადიონი, საცურაო აუზი და სათხილამურო ბაზა, ზამთრის სავარჯიშო დარბაზი.

სოფელში გაიხსნა ბავშვთა სპორტული სკოლა, სადაც ორმოცი ბიჭი და გოგონა სწავლობს. სკოლის ყველა ხარჯს კოლმეურნეობა იხდის.

— სპორტი, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გაიდენკო, — მშრომელთა ჯანმრთელობას ნიშნავს. აი, რატომ ვუწყობთ ხელს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს.

ვ. კოლოდრუბსკი.

ურალსკი.

### მოგზაურობა კარპატის მთებში

მატარებელმა „მოლდოვამ" კარპატის მთებისკენ აიღო გეზი. ამ მატარებლით დასასვენებლად გაემგზავრა სოციალისტური შეჯიბრების 500 მოწინავე, რომელთაც კარგი მუშაობისთვის ტურისტული საგზურები გადაეცათ. ისინი ხუთი დღის მანძილზე დაათვალიერებენ მთიან ადგილებს, ისრიალებენ თხილამურებით, ჩააბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

1973 წელს სამი ასეთი მატარებელი გაიგზავნა კარპატის მთებში. აქ 1000 კაცმა ჩააბარა ჯანმრთელობის კომპლექსის ნორმატივები გოვერლისა და პეტრასის მწვერვალებზე მოწყობილ ლაშქრობებში.

ვ. ნოვოსადიუკი.

კიშინიოვი.

### გაერთიანებული ძალით

ნამანგანის საწარმოებმა და დაწესებულებებმა გადაწყვიტეს გაეერთიანებინათ ფიზკულტურის განვითარებისთვის დირექტორის ფონდებიდან გამოყოფილი თანხა და პროფკავშირთა „დანაზოგები". ერთობლივი ზრუნვის პირველ ობიექტად აუზი „მეხნატი" იქცა. ამ აუზში წყალს გაათბობენ, გასახდელებსაც ააგებენ და მერე ზამთრობითაც გამოიყენებენ.

თანხების კოოპერირებამ შესაძლებელი გახადა ქალაქში სპორტული მშენებლობის გენერალური გეგმის შედგენა. გაერთიანება „ელექტროტერმის", საკონსერვო ქარხნისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გაღებული ფულით უკვე იწყება ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის, ზამთრის საცურაო აუზის მშენებლობა, „სპარტაკის" სტადიონის რეკონსტრუქცია.

რ. ბიჩურინი.

ნამანგანი.

საკლესი მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

# ლ ა უ რ ე ა ტ ე ბ ი

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტებმა საუკეთესოთა ათეულში შესულ სპორტსმენებს სთხოვეს მკითხველებისთვის ეთქვათ, რომელი დღე იყო მათთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი გასულ, 1973 წელს.











## ლევან თედიაშვილი

წარმატებული სპორტული სეზონი ჩემთვის ორმხრივ სასიხარულო იყო: მსოფლიო ჩემპიონი გავხდი თავისუფალ ჭიდაობაში და პარალელურად — სამბოში. მე მუდამ თაყვანს ვცემდი ესტონელი მოჭიდავის ავგუსტინ ენგლასის უნივერსალურ ნიჭს, რომლის წყალობითაც მან უმაღლესი ტიტულები მოიპოვა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ. ბედნიერი ვარ, რომ ენგლასის რეკორდი გავიმეორე.

## დიტო შანიძე

ხდება, თურმე, ცხოვრებაში ასეთი ამბავიც: ერთი წელი მნიშვნელობით რამდენიმე წლის ტოლფასია. შემთხვევით არაფერი ხდება. რატომ უხდება ამა და ამ კონკრეტულ წელიწადს ადამიანს თითქმის ყველა ოცნება? იმიტომ, რომ მას, იღბლიან წელიწადს, წლების მანძილზე ეყრება საფუძველი. 1973 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფიცარნაგზე ჩამოვიშორე „მარად მეორის" არცთუ სასიამოვნო მეტსახელი.

## ალექსანდრე მეტრეველი

განა შეიძლება იყოს წელი, რომ რაიმე კვალი არ დატოვოს ადამიანის ცხოვრებაში? ამ მხრივ ჩემთვის არც 1973 წელია გამონაკლისი. სიხარულით და ერთგვარი სინანულით ვიგონებ უიმბლდონის ტურნირის ფინალურ შეხვედრას ჩეხოსლოვაკიელ იან კოდეშთან. სასიხარულო ის იყო, რომ მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატად მიჩნეული ტურნირის ფინალში გასვლა შევძელი, გულდასაწყვეტი კი — წაგება მეტოქესთან, რომლისთვისაც ბევრჯერ მომიგია.

## ტარიელ ძლიერი

ჩემთვის გასულ სპორტულ სეზონში ყველაზე ბედნიერი დღე, უფრო სწორად, უბედნიერესი წუთი იყო ტურინის ევროპის ჩემპიონატის ის მომენტი, როცა მრგვალ სტენდზე სროლაში მეორასე სამიზნეც გავტეხე, მსოფლიო რეკორდი დავამყარე და კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალიც დავისაკუთრე.

მერე იყო გუნდური გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატში. ამ დღეების დავიწყება შეუძლებელია!

## ქეთევან ლოსაბერიძე-ზვეტაძე

1973 წელი ჩემთვის ბევრი რამითაა ღირსსახსოვარი, პირველ ყოვლისა — ოჯახის შექმნით.

სპორტული მოვლენებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი ალმა-ათაში: ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მსოფლიო ჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ პირველობაში აქ პირველად მოვიპოვე ოქროს მედალი.











## გენადი ზიორბაძე

თქმა არ უნდა, რომ ჩემთვის, ისევე როგორც ლევან თედიაშვილისთვის, ბედნიერი გამოდგა თეირანის სარბიელი. ლევანი მაღალ ტიტულებს შეჩვეულია, მე კი პირველად გამოვცადე ის სიხარული, რაც მსოფლიო ჩემპიონის სახელს მოაქვს.

იმ დღეს რა დამავიწყებს!

გულდაგულ ვიმეცადინებ, რათა 1974 წელსაც გავახარო ჭიდაობის მოყვარულთა გულები, ახალ-ახალი წარმატებებით გასახელო სამშობლო.

## ანატოლი მოშიაშვილი

ადამიანს ყველა გამარჯვება სიხარულს ჰგვრის, მაგრამ მე ალბათ არასოდეს დამავიწყდება შეჯიბრება ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა იქაურ თარჯმორბენლებს საკუთარმა კედლებმაც ვერ უშველა — 60 იარდზე თარჯრბენის დისტანცია 7 წამში გავირბინე და I ადგილი დავისაკუთრე.

მინდა რომ ასეთი ბედნიერი დღე ბევრი იყოს 1974 წელს.

## პაატა შამუგია

ამ რამდენიმე წლის წინათ დიდი „ავანსი" მივიღე თქვენი გაზეთისგან. იქ ასე ეწერა ჩემზე: „იქნებ პირველი მახარობელია?"

მხედველობაში ჰქონდათ ქართული ტანვარჯიშის ხელახალი აღზევება საკავშირო სარბიელზე. ბედნიერი ვარ, რომ ეს კეთილი წინასწარმეტყველება ნაწილობრივ მაინც გავამართლე. სწორედ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვების დღე იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი 1973 წელს.

## მანუჩარ მაჩაიძე

ფეხბურთელისთვის ძნელია ერთი რომელიმე მომენტის გამოყოფა სეზონიდან, რომლის ძირითადი, საასპარეზო პერიოდი 8-9 თვეს გრძელდება.

და მაინც, შეიძლება ყველაზე სასიხარულო გამარჯვების გამოყოფა. ესაა თბილისის „დინამოს" წარმატება ესპანეთის ქალაქ უელვაში, სადაც ინგლისის, პორტუგალიისა და ესპანეთის სახელმოხვეჭილი გუნდების ტურნირში შევძელით I ადგილის დაკავება.

## თეიმურაზ ბაკულია

1973 წელს დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და მსოფლიო უნივერსიადაში აბსოლუტური პირველობა მოვიპოვე. წარმატებებმა თითქოს ძალა შემმატა და წლეულსაც ვეცდები თავი არ შევირცხვინო.

არასოდეს დამავიწყდება დევისის თასის პროგრამით საფრანგეთის ნაკრებთან გამართულ მატჩში პრუაზისთან შეხვედრა. სწორედ ამ ორთაბრძოლამ გადაწყვიტა საბოლოო გამარჯვების საკითხი ჩვენს სასარგებლოდ.

# ✓ ა ნ კ ე ტ ე ბ ი, ა ნ კ ე ტ ე ბ ი... ✓

ტრადიციულად, ყოველი წლის ბოლოს მსოფლიოს ყველა კუთხეში ჟურნალისტთა, სპორტსმენთა თუ მწვრთნელთა შორის ათასნაირი ანკეტები და პლებისციტები ეწყობა საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლენად.

გამონაკლისი არც 1973 წელი ყოფილა. დღეს გთავაზობთ რამდენიმე ასეთი ანკეტის შედეგებს.

საბჭოთა პრესაში უკვე გამოქვეყნდა შედეგები სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ანკეტისა, რომელმაც დაასახელა საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენი. ეს სპორტსმენი გახლავთ მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ირინა როდნინა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ქალთა შორის საუკეთესოდ მიჩნეულია 16 წლის ტანმოვარჯიშე უტა შორნი, რომელმაც ლონდონში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ბჯენით ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვაჟთა შორის ყველაზე მეტი ხმა მიიღო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, 27 წლის შუბის მტყორცნელმა კლაუს ვოლფერმანმა.

ავსტრიის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის მფლობელი ანემარი პრიოლი-მოზერი, რუმინეთში უძლიერესად — ცნობილი ჩოგბურთელი ილიე ნასტასე, ხოლო კუბის № 1 სპორტსმენად — მოსკოვის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში ალბერტო ხუანტორენა.

ბულგარეთის სააგენტო ბტა-მ ჩაატარა გამოკითხვა ბალკანეთის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. საბოლოოდ გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა 800 მეტრზე რბენაში სვეტლა ზლატევამ.

ამერიკის ორმა მთავარმა სააგენტომ — ასოშიეიტედ პრესმა და იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლმა, რასაკვირველია, ჩაატარეს მიმომხილველთა და სპორტულ კომენტატორთა გამოკითხვა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი ქალებისა და ვაჟების გამოსავლენად.

ჯერ გაგაცნობთ ასოშიეიტედ პრესის ანკეტის შედეგებს:

ვაჟები: 1. ჯეკ სტიუარტი (შოტლანდია, პროფესიული ავტორბოლა); 2. სტეფენ ჰოლანდი (ავსტრალია, ცურვა); 3. დუაიტ სტოუნზი (აშშ, მძლეოსნობა); 4. ბენ ჯიპჩო (კენია, მძლეოსნობა); 5. ედი მერქსი (ბელგია, პროფესიული ველოსპორტი); 6. ილიე ნასტასე (რუმინეთი, ჩოგბურთი); 7. რიკ დემონტი (აშშ, ცურვა); 8. ჯეკ ნიკლაუსი (აშშ, პროფესიული გოლფი); 9. იოჰან კრუიფი (ჰოლანდია, პროფესიული ფეხბურთი); 10. ჯორჯ ფორმენი (აშშ, პროფესიული კრივი).

ქალები. 1. რენატა შტეჰერი (გდრ, მძლეოსნობა), 2. ანემარი პრიოლი-მოზერი (ავსტრია, სამთოსათხილამურო სპორტი); 3. კორნელია ენდერი (გდრ, ცურვა); 4. შეილა იანგი (აშშ, ველოსპორტი და ციგურებით სწრაფრბენა); 5. ლიუდმილა ტურიშჩევა (სსრ კავშირი, ტანვარჯიში); 6. ბილი-ჯინ კინგი (აშშ, პროფესიული ჩოგბურთი); 7. ფაინა მელნიკი (სსრ კავშირი, მძლეოსნობა); 8. ანელი ერჰარდტი (გდრ, მძლეოსნობა); 9. მონა-ლიზა პურსიაინენი (ფინეთი, მძლეოსნობა); 10. კარენ მაგნუსენი (კანადა, ფიგურული ციგურაობა).

იუნაიტედ პრესის ანკეტა:

ვაჟები: 1. ჯეკ სტიუარტი (მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი პროფესიონალ ავტომრბოლელთა შორის) — 179 ქულა; 2. დუაიტ სტოუნზი (მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში) — 177; 3. ედი მერქსი (მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო პროფესიონალი ველომრბოლელი) — 137; 4. სტეფენ ჰოლანდი (მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში) — 104; 5. ბენ ჯიპჩო (მსოფლიო რეკორდსმენი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში) — 100; 6. ჯორჯ ფორმენი (მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის) — 97; 7. რიკ დემონტი (მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში) — 86; 8. იოჰან კრუიფი (მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის" მფლობელი) — 81; 9. როლანდ მათესი (გდრ, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში) — 76; 10. ილიე ნასტასე (ჩოგბურთელთა ბევრ წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული).

ქალები: 1. კორნელია ენდერი (მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში) — 196 ქულა; 2. რენატა შტეჰერი (მსოფლიო რეკორდსმენი 100 და 200 მეტრზე რბენაში) — 191; 3. ლიუდმილა ტურიშჩევა (ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში) — 187; 4. ფაინა მელნიკი (მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში) — 122; 5. ბილი-ჯინ კინგი (ცნობილი ჩოგბურთელი, უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი) — 106; 6. ბურგლინდა პოლაკი (გდრ, მსოფლიო რეკორდსმენი მძლეოსნურ ხუთჭიდში) — 59; 7. ნადეჟდა ჩიჟოვა (სსრ კავშირი, მსოფლიოს რეკორდსმენი ბირთვის კვრაში) — 51; 8. ნოველა კალიგარისი (იტალია, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში) — 43; 9. ენ მური (დიდი ბრიტანეთი, საცხენოსნო სპორტის ოსტატთა ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული) — 37; 10. შეილა იანგი (მსოფლიო ჩემპიონი სპრინტერულ მრავალჭიდში, მსოფლიო რეკორდსმენი 500 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში) — 32.

ვაჟთა ორივე სიის გადათვალიერებისთანავე თვალში გვეცემათ პროფესიონალთა განსაკუთრებული ავტორიტეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორივე ანკეტაში პირველი ადგილი შოტლანდიელ ჯეკ სტიუარტს უკავია (სხვათა შორის, ახლახან იგი გამოეთხოვა სპორტს). საერთოდ, ანკეტები საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს (ეს განსაკუთრებით ვაჟთა ათეულებზე ითქმის).

უნდა აღინიშნოს, რომ ბელგრადის I მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ცურვა კიდევ უფრო პოპულარული გახდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ასოშიეიტედ პრესის ანკეტაში სამი მოცურავეა დასახელებული, იუნაიტედ პრესის ანკეტაში კი — ხუთი.

ყველა გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს მოწინავე სპეციალისტები, მიმომხილველები და კომენტატორები.

დ. კაკაბაძე.



# შევცოვას 135 ქულა

დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო 12 წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ სატურნირო ცხრილის სათავეში ვერ ვხედავთ რიგის ტტტ-ს — მსოფლიოს საკლუბო კალათბურთის აღიარებულ ლიდერს. უფრო მეტიც, ლატვიელები 4 ქულით ჯერჯერობით მხოლოდ VIII ადგილზე არიან.

რით უნდა ავხსნათ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ესოდენ ხუსტი თამაში? სამწუხაროდ, მიზეზი მხოლოდ ერთია და იგი არ ამართლებს ასეთი მაღალი კლასის გუნდის წარუმატებლობას.

ამ დღეებში ლატვიის ჟურნალისტებმა დაასახელეს უძლიერესი სპორტსმენი ქალი და რესპუბლიკის ყველაზე პოპულარული კოლექტივი გასული სეზონის შედეგების მიხედვით. პრიზი მიიღო რიგის ტტტ-ს ცენტრალურმა თავდამსხმელმა უ. სემიონოვამ, კოლექტივებში კი ჯილდო იმავე ტტტ-ს გადაეცა. სემიონოვა მართლაც დიდი ფიგურაა თავის გუნდში, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ უმისობა ასე დაეტყობოდა ტტტ-ს და ყველაზე ძლიერ, პოპულარულ კოლექტივს რიგითს გუნდად აქცევდა.

ბრწყინვალედ ჩაატარა ვილნიუსის ტური სვერდლოვსკის „ურალმაშმა". სვერდლოვსკელებმა ჩემპიონატის სტარტზე მხოლოდ ორი შეხვედრა მოიგეს (5 მატჩში), მაგრამ საუცხოოდ მოემზადნენ ვილნიუსის მატჩებისთვის და ზედიზედ 6 გამარჯვებით საგრძნობლად გამოისწორეს სატურნირო მდგომარეობა. სვერდლოვსკელთა ამ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ცენტრალურ თავდამსხმელს ლ. შევცოვას, რომელიც ტურის ყველაზე შედეგიანი სპორტსმენი აღმოჩნდა: ექვს მატჩში გუნდს 135 ქულა შესძინა, რაც საშუალოდ ყოველ შეხვედრაში 22-23 ქულას უდრის.

მოულოდნელი ტრანსფორმაცია განიცადა ტურის მასპინძელმა — „კიბირკშტისმა". საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის სტარტზე მას სვერდლოვსკელებზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდა — 1 ქულა. მაგრამ შინ „კიბირკშტისს" ვერ იცნობდით — 5 შეხვედრა მოიგო (დამარცხდა მხოლოდ მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან") და მჭიდროდ მიუახლოვდა ლიდერებს.

საგრძნობლად გამოიკეთა მდგომარეობა მოსკოვის ოლქის „სპარტაკმაც", მაგრამ მარცხს ვერც ის გადაურჩა. 1 ქულა სპარტაკელებმა „ურალმაშთან" შეხვედრაში დათმეს.

ასევე ერთი შეხვედრა წააგო და იმავე „ურალმაშთან" ლენინგრადის „სპარტაკმა", რომელიც, ამ მარცხის მიუხედავად, სატურნირო ცხრილში 1 ადგილზეა.

ვილნიუსის ტურის მატჩებში ყურადღებას იმსახურებს ალმა-ათის „უნივერსიტეტის" თამაშიც. ამ კოლექტივმაც 6-დან 5 შეხვედრა მოიგო და ახლა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებს.

ნ. გუგუშვილი.

● ●

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 11 | 10 | 1 | 684—542 | 10 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 11 | 9 | 2 | 736—676 | 9 |
| „ურალმაში" | 11 | 8 | 3 | 660—575 | 8 |
| „უნივერსიტ." | 11 | 7 | 4 | 659—617 | 7 |
| „დინ." (მოს.) | 11 | 6 | 5 | 676—609 | 6 |
| „კიბირკშტისი" | 11 | 6 | 5 | 629—614 | 6 |
| „დინ." (კიევი) | 11 | 5 | 6 | 666—657 | 5 |
| ტტტ | 10 | 4 | 6 | 552—624 | 4 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 10 | 3 | 7 | 544—590 | 3 |
| „სერპი მოლოტი" | 11 | 3 | 8 | 572—607 | 3 |
| „ბურევესტნიკი" | 11 | 2 | 9 | 554—700 | 2 |
| „სტროიტელი" | 11 | 2 | 9 | 586—707 | 2 |

შენიშვნა: ტტტ-სა და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება.

საახალწლო ფელეტონი

# გამარჯობა, ახალო წელო!

1973 წელმა საბოლოოდ შემოუარა ჩვენს დედაქალაქს, ერთხელ კიდევ გადათვალა, თუ რას უტოვებდა თავის პირმშოს, ახალ, 1974 წელს და თბილისის „დინამოს" სტადიონის მშენებლობის გაჭიანურებით გულდაწყვეტილმა მტკვრის სანაპიროზე ჩაუხვია, რათა ენახა, საცურაო აუზის რაიმე ნიშანწყალს მაინც თუ ახვედრებდა მომავალს. სახეირო რომ ვერაფერი ნახა, იქვე მდებარე რესტორან „არაგვის" დიდებული შენობიდან გამოსულმა ხმაურმა მიიქცია მისი ყურადღება. „ამ ადგილზე ხომ წინათ საცურაო აუზი იყო, ოსტატდებოდნენ ჩვენი სპორტსმენები, ამყარებდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო რეკორდებს", — გაიფიქრა 1973 წელმა და რესტორნიდან გამოსულ შექეიფიანებულ ახალგაზრდებს ხმაურის მიზეზი ჰკითხა.

— ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პიპინია ღვინიანიძემ: ორ საათში 30 ჩაის ჭიქა ღვინო დალია.

— წყლის ნაცვლად ღვინოში ცურავს ახალგაზრდობა, — წყენით თქვა 1973 წელმა და სპორტის სასახლისკენ გასწია. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შენობას რომ ჩაუარა, გაუკვირდა: ყველა ოთახი განათებული იყო. იფიქრა, სპორტის სასახლეში ზეიმის დაწყებამდე კარგი ხანია დარჩენილი და ტელევიზიას ვეწვევიო.

დიდ საახალწლო სპორტულ პროგრამას გადასცემდნენ ეთერში. ტელეტურნირში ერთმანეთს ხვდებოდნენ ზესტაფონისა და საგარეჯოს ნაკრები გუნდები. შეჯიბრება ტარდებოდა სპორტის მთავარ სახეობებში — კოჭაობასა და რიკტაფელაობაში. ბოლო სახეობა იყო ათმეტრიანი კოშკიდან უწყლო აუზში ხტომა...

სპორტის სასახლის ვეებერთელა დარბაზი საზეიმოდ მოერთოთ. ტრიბუნებზე ტევა არ იყო. სპორტის მოყვარულთ რა გამოლევს დედაქალაქში! მხოლოდ ის იყო უჩვეულო, რომ ლითონის ბადე ყოფდა მაყურებელთა ტრიბუნებსა და სარბიელს. რა იცი, რა მომენტში ტყორცნის ზოგიერთი ვაიმაყურებელი სარბიელისკენ ასანთის კოლოფს, ბოთლს... შეიძლება ფეხსაცმელიც მოგხვდეს თავში!

დაფდაფების ხმაზე აღლუმი დაიწყო. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ გოგონებს და ბიჭუნებს აღემართათ ხის ფირფიტები, რომლებზეც სპორტის სახეობები იყო აღნიშნული. სარბიელზე პირველნი მოჭიდავეები შემოვიდნენ, რომელთაც წინ ლევან თედიაშვილი მოუძღოდათ. ჩოგბურთელთა სახელით სამი სპორტსმენი გამოვიდა: ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია და ალა ივანოვა, მაგიდის ჩოგბურთელების სახელით — სარქის სარხოიანი.

— დაბალი სპორტული კლასიფიკაციისა და საკავშირო სარბიელზე გამუდმებული წარუმატებლობის გამო მოკრივეები მეჯლისზე არ დაუშვეს, — გაისმა დიქტორის ხმა.

— კრივის 50 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე დიდი ზარ-ზეიმით ჩავატარეთ! — იყვირა ერთ-ერთი ტრიბუნიდან ვიღაცამ და მთელი დარბაზი სიცილით გაიგუდა.

დიქტორი დამსწრეთ აცნობდა აღლუმის მონაწილეთა ვინაობას, აღნიშნავდა მათ მიერ საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ წარმატებებს.

წყალბურთელების დანახვაზე დარბაზში ხმაური ატყდა. 1-ელ, მე-2, მე-3, მე-5 სექტორებში მსხდომნი მოითხოვდნენ, წყალბურთელებმა სპორტის სასახლე დატოვონო. საქმე ისაა, რომ ერთ დროს სსრ კავშირის ხალხთა ოთხი სპარტაკიადის პრიზიორმა გუნდმა უკანასკნელ ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილი დაიკავა. წყალში მხტომელთა დანახვაზეც მსგავსი ამბავი მოხდა.

—მწვრთნელები სპორტის სასახლეში შემოშვებას ითხოვენ. ზღვა ხალხია მოსული. ამდენი მწვრთნელი თუ გვყავდა, ყოველ მათგანს თითო მაღალი კლასის სპორტსმენიც რომ მოემზადებინა, რაღა გვიჭირდა, — ცხარობდა დიქტორი.

ტრიბუნებზე კვლავ ხმაური ატყდა. გულშემატკივრები მოითხოვდნენ ის მწვრთნელი მოეწვიათ, ვინც თან თავის აღზრდილ ერთ მაღალი კლასის სპორტსმენს მაინც მოიყვანდა. ხოლო, თუ ასეთნი არ აღმოჩნდებოდნენ, სპეციალური სასამართლო სხდომა მოეწყოთ მათთვის სხვადასხვა სასჯელის დასადებად. არც ერთი ხოთხოვნა არ შესრულდა, ვინაიდან ამ სიტყვების მერე სპორტის სასახლის შესასვლელთან მწვრთნელების ჭაჭანება აღარ იყო.

საახალწლო მეჯლისის ოფიციალური ნაწილის შემდეგ მონაწილეებმა დატოვეს მთავარი სარბიელი და სპორტის სასახლის სხვადასხვა ოთახსა თუ დარბაზში გაშლილ საახალწლო სუფრას მიუსხდნენ. თუ რა ხდებოდა იქ, დიქტორი აუწყებდა ტრიბუნებზე მსხდომ გულშემატკივრებს, რომლებიც ამ დროს დისნეის „ბემბით" ტკბებოდნენ.

— წყალბურთელთა და წყალში მხტომელთა სუფრაზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. გაუთავებლად მღერიან: წყალში ვდგავართ, ცეცხლი გვიკიდიაო;

— თბილისის „დინამოს" სუფრიდან ახლახან შეგვატყობინეს, რომ ფეხბურთელებმა უეფა-ს თასი ბოლომდე ვერ დაცალეს;

— მოკრივეების სუფრას ერთი კაცი შემორჩა. რაღაც საეჭვოდ იქცევა, სულ ამას გაიძახის: ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

... საათის ისარი თორმეტს მიუახლოვდა. სპორტის სასახლე ფეიერვერკმა გააჩირაღდნა. ცენტრალურ შესასვლელში დიდი ამალით შემოაბიჯა ახალმა წელმა, სიხარული და ბედნიერება შემოიტანა. დარბაზში მრავალჟამიერი აგუგუნდა ახალი წლის დაბადების აღსანიშნავად, ჩვენი მომავალი წარმატებების სადიდებლად...

ზ. ჯაფარიძე.

ჩვენი სტუმრები

# მილკა ბაბოვიჩი: „...ბედნიერი ახალი წელი, სიხარული, წარმატებები"



ახალი წლის წინ ჩვენს რედაქციას ესტუმრა სპორტული ჟურნალისტი მილკა ბაბოვიჩი. ეს სახელი მის სამშობლოში — იუგოსლავიაში და ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგადაა ცნობილი. მილკა თავის დროზე შესანიშნავი მძლეოსანი იყო, ახლა კი ერთ-ერთ წამყვან ჟურნალისტად ითვლება. მ. ბაბოვიჩი ხორვატიის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეა, მუშაობს ზაგრების ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის მთავარ რედაქტორად. ჩვენთან სტუმრობის დროს მილკამ ბევრი რამ გაიხსენა... გთავაზობთ მის ინტერვიუს.

● როგორ და რა პირობებში დაიწყეთ სპორტში მეცადინეობა?

— მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილი დაატყდა თავს. ომის წლებში სპორტში რეგულარული მეცადინეობისთვის ვის ცხელოდა. ფაშისტური უღლისგან გათავისუფლების მერე კი დაიწყო სპორტული ბაზების აღდგენა-განახლება, ახლის მშენებლობა...

● თქვენც ამ მოძრაობის აქტიური მონაწილე იქნებოდით.

— რასაკვირველია! სპორტი ძალიან მიზიდავდა. თავდაპირველად ტანვარჯიშით ვიყავი გატაცებული, მაგრამ საბოლოოდ მძლეოსნობა ავირჩიე. ომის შემდგომ იუგოსლავიის მძლეოსანთა 1 ჩემპიონატი 1945 წლის სექტემბერში გაიმართა, იმ დღიდან 1965 წლამდე აქტიური სპორტისთვის თავი არ დამინებებია. ჩემი საყვარელი სახეობები იყო რბენა 60 და 100 მეტრზე, 80 მეტრზე თარჯრბენი და ესტაფეტა 4×100 მეტრზე. 1951 წლიდან 1965 წლამდე იუგოსლავიის ნაკრებში ვირიცხებოდი და ამ ხნის განმავლობაში 21-ჯერ გავაუმჯობესე ეროვნული რეკორდები სხვადასხვა დისტანციაზე.

ინტერვიუ

● თქვენ უთუოდ იცნობდით საბჭოთა მძლეოსნებსაც...

— როგორ არა! ბევრი მათგანი ჩემთვის თავდადებული ვარჯიშის და სპორტული გმირობის შესანიშნავი მაგალითი იყო. საბჭოთა სპორტსმენებს პირველად შევხვდი 1945 წლის სექტემბერში, როცა ისინი სტუმრად იყვნენ იუგოსლავიაში. ეს იყო საბჭოთა სპორტსმენების პირველი სტუმრობა ჩვენში და ვამაყობ, რომ მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი პირველი მონაწილე ვარ. მაშინ 17 წლისა ვიყავი, ხარბად ვუსმენდი საბჭოთა სპორტის გამოჩენილ წარმომადგენლებს — მოცურავე მეშკოვს, სპრინტერ სეჩენოვას...

მაშინ გავიცანი თქვენი საამაყო ბადროს მტყორცნელი ნინო დუმბაძე. ამ სიმპათიურმა ქალმა, რომელსაც ერთთავად ნათელი ღიმილი ეფინა სახეზე, წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში. მე ახლაც შენახული მაქვს ნინოს ფოტოსურათი, რომელიც თავად გადავუღე. ჩემგან დიდი ვერაფერი ფოტოგრაფი დადგა, მაგრამ იმ პირველ ნამუშევარს ქართველ მძლეოსანთან სასიამოვნო ნაცნობობის მოსაგონრად ვინახავ.

არ შემიძლია არ გავიხსენო პეტრე მშვენიერაძე. მართლაც დიდებული წყალბურთელი იყო!

● ორიოდე სიტყვა გვითხარით თქვენს სპორტულ წარმატებებზე.

— სამჯერ დამასახელეს იუგოსლავიის უძლიერეს სპორტსმენად. ჩემი საუკეთესო შედეგი 80 მეტრზე თარჯრბენში 11 წამი იყო. იმ დროისთვის ეს კარგ შედეგად ითვლებოდა. ორჯერ გავიმარჯვე სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში (მაშინ უნივერსიადას ასე უწოდებდნენ): 1953 წელს — დორტმუნდში, 1957 წელს — პარიზში. პირველობა მოვიპოვე ორივეჯერ ერთნაირი შედეგით — 11,0.

● სპორტის გარდა კიდევ რა გიტაცებთ?

— თავდავიწყებით მიყვარს სიმღერა, თუმცა თავად დიდი მომღერალი არ გახლავართ. როცა პირველად ხელში ჩამივარდა გრამფირფიტა ნანი ბრეგვაძის ჩანაწერებით, სწორედ მაშინ გავუჩნდი გემო რუსულ რომანსებსა და ქართულ მელოდიებს. ბრეგვაძის შესრულებით რუსული რომანსი „ჭიშკარი" ნამდვილ ბედნიერებას მანიჭებს.

● დიდი ხანია სპორტულ პრესაში მოღვაწეობთ?

— პირველად კალამს მორიდებით მოვკიდე ხელი 1949 წელს, 1955 წლიდან კი პროფესიონალი ჟურნალისტი გახლავართ. 1957 წელს ჟურნალ-გაზეთებში მუშაობას თავი დავანებე და ზაგრების ტელევიზიაში გადავედი. ტელევიზიის სირთულეს თავი რომ გავართვა, უთუოდ ჟურნალ-გაზეთებში მუშაობით უნდა იყო დაოსტატებული.

დასასრულ, მინდა ჩემს ქართველ კოლეგებს — ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და ტელევიზიის მუშაკებს ვუსურვო ბედნიერი ახალი წელი, სიხარული, წარმატებები.



# დაწინაურებულთა განცდები

თბილისი, ჭადრაკის სასახლე. 30 დეკემბერი. XI ტური.

ლ. სემიონოვა (კიევი) — ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) 0:1, ა. კისლოვა (ომსკი) — ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) 1:0, ვ. სტერნინა (მოსკოვი)—ო. პედკო (სოჭი) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) — ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე (ორჯონიკიძე — თბილისი) — ა. გრინფელდი (კალინინგრადი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ტ. ფომინა (ტალინი), კ. ზვორიკინა (მინსკი)— ი. მატვეევა (ალმა-ათა), ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — მ. შული (ლვოვი), ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი). ნ. მედიანიკოვას (მოსკოვი) ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ტ. მოროზოვასთან (ლვოვი).

11 ტურის შემდეგ კოზლოვსკაიას 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, შულს — 7 (1), მედიანიკოვას — 6,5 (1), გაფრინდაშვილს — 6 (2), ზვორიკინას, მოროზოვას — 6-6 (1-1), მულენკოს — 6, ალიოხინას — 5 (2). ჩიბურდანიძეს 4 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

ჰორიზონტზე ფინიშის გამოჩენამ ბრძოლა უაღრესად დაძაბა. იმატა შეცდომებმა. აუტსაიდერები გაავდნენ. დაწინაურებულთათვის ყოველმა პარტიამ და სვლამ დიდი მნიშვნელობა მიიღო.

კოზლოვსკაია თითქმის არ სცილდება „ბრძოლის ველს", არ უნდა მას გამოეთიშოს. ფომინასთან თამაშის დროს ერთხელაც არ ამდგარა, სულ დაფას ჩაჰკირკიტებდა. ერთპიროვნულ ლიდერს თავიდანვე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა. მერეც, როცა ფომინამ ლაზიერის ფრთაზე რამდენიმე ფიგურა გაცვალა და გამსვლელი პაიკი შექმნა, კოზლოვსკაია ინიციატივას ფლობდა. გადადებულ პარტიაში მისი ფიგურები მეტოქეს იერიშით ემუქრებიან.

გაფრინდაშვილს ახლა ყველა შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. მეტოქეებმა ეს იციან და ნამდვილ ბრძოლას თავს არიდებენ. ამიტომ ნონა თავიდანვე იმის ცდაშია, რომ როგორმე მეტოქე აიყოლიოს. ლიუბარსკაიას წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონმა უფიმცევისა და უიტელკის დაცვათა რაღაც ნაერთი შეთხზა, ოღონდ კი ლიუბარსკაიას საყაიმო ტენდენცია დაეძლია. ფიცხელ შეტაკებაში ნონამ პაიკი მოიგო, მაგრამ საკუთარი მეფის უშიშროება რომ უზრუნველეყო, პაიკი უკან დააბრუნა და ეტლების უკეთეს ენდშპილში გადავიდა.

— რა აზრისა ხართ ნონას გადადებულ პოზიციაზე? — გკითხე მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელს, ოსტატ ი. ჩიქოვანს.

— ეტლების ეს ენდშპილი ტექნიკურად ძნელი მოსაგებია, მაგრამ გააჩნია, ლიუბარსკაია როგორ ითამაშებს.

შულმა ალიოხინას მხედარი დაუთმო იმ იმედით, რომ ორიოდე სვლაში უკან დაიბრუნებდა, მაგრამ ვეღარ დაიბრუნა. ალიოხინა, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო. მისი ოცნებაა „შესანიშნავ შვიდეულში" მოხვედრა, რაც სპორტის ოსტატის წოდებას მოუტანს. ვორონეჟელი სტუდენტი უკვე ზედიზედ მესამე პარტიას იგებს.

ზვორიკინა დაუღალავად იბრძოდა მატვეევასთან, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ალმაათელი მოჭადრაკის ღიმილმა მიგვახვედრა, რომ გადადებულ პარტიაში მას საიმედო პერსპექტივები აქვს.

გაგვახარა ჩიბურდანიძემ. ჩანს, რომ თამაში მას დიდ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებს. დაფასთან უშუალოა, ვერ მალავს განცდებს და სიხარულს. როცა საინტერესო აზრი გაუელვებს, ხელებს სახეზე იფარებს, თითქოს ემინია, არ მიმიხვდნენ, რას ვფიქრობო...

გრინფელდს რთულ პოზიციაში მხედარი რომ შესწირა, მაია წამოდგა და მაგიდებს შორის გაიარა. დაკვირვებულმა გულშემატკივრებმა შენიშნეს, როცა მაია სეირნობს, თავისი პოზიციით კმაყოფილიაო. მართლაც, მისი კომბინაცია ღრმა და საუცხოო იყო. მან ცენტრში მეტოქის რამდენიმე ფიგურა ერთად გამონასკვა და კვანძი რომ გახსნა, სამი პაიკი მოიგო.

გრინფელდმა დანებებას პარტიის გადადება ამჯობინა. გულშემატკივრებმა ტაში რომ დაუკრეს, გოგონამ თავი უხერხულად იგრძნო: ჯერ ხომ არ მომიგიაო.

თ. გიორგაძე.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •



ობიექტივში მსოფლიო

Საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, როგორც იცით, ქალთა ფეხბურთი საკმაოდ პოპულარულია. უკვე ჩატარდა ორი მსოფლიო ჩემპიონატი, ეწყობა ეროვნული ჩემპიონატები, ხშირად თამაშობენ ამხანაგურ მატჩებსაც. მაგალითად, ამას წინათ ლონდონის „ჰარლინგემ კლაბის" სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ დადგა მანეკენ ქალთა ორი გუნდი — „რობინსონ რეივერზი" და „ლამლი ლავერზი". შეხვედრა „ლამლი ლავერზმა" მოიგო — 3:1. ფოტოსურათზეც სწორედ ეს გუნდია აღბეჭდილი.

## მინდორზე — მანეკენი ქალები

## თამაშობენ „ნამდვილი" ფეხბურთელები



Ამ სურათზე თქვენ ერთი არასაფეხბურთო ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელებს ხედავთ. უფრო სწორად, ამ ქვეყანაში სხვანაირ, ამერიკულ ფეხბურთს თამაშობენ, ფოტოზე კი „ნამდვილი" ფეხბურთელები არიან აღბეჭდილი.

სენტ ლუისში ჩატარდა მისურის შტატის მოყვარულ ფეხბურთელთა ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ „კუტისი" და „რაივალ ჰემი". „კუტისის" მოთამაშე დენის ვენინგერმა (შავ მაისურში) „ყირა გააჰიმვინა" მეტოქე გუნდის ფეხბურთელს დეილ ჰარმონს და კინაღამ თვალიც გამოსთხარა. საბედნიეროდ, თითი თვალს ასცდა.

დამატებითს დროში „კუტისმა" გაიმარჯვა (2:1) და მისურის შტატის ჩემპიონობა მოიპოვა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

### აფრიკის თასი

1-12 მარტს გაიმართება აფრიკის თასის გათამაშება ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში თამაშობენ: ეგვიპტე, უგანდა, ზამბია, სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკა, ხოლო მეორეში — კონგო (თასის მფლობელი), მავრიტანია, გვინეა და ზაირი.

ნახევარფინალებში გამარჯვებული გუნდები დასკვნითს მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

### „შემოდგომის სერიის" შემდეგ

Პოლონეთის ჩემპიონატის პირველი წრის, ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, „შემოდგომის სერიის" შემდეგ I ლიგის გუნდების მწვრთნელებმა მიმართეს თხოვნით დაესახელებინათ რესპუბლიკის № 1 მოთამაშე.

I-III ადგილები გაინაწილეს ვარშავის „ლეგიის" ფეხბურთელებმა დეინამ, ჩმიკევიჩმა და გადოხამ.

შომდევნო ადგილებზე არიან ნაკრების ფეხბურთელები გორგონი (ზაბჟეს „გურნიკი"), შიმანოვსკი (კრაკოვის „ვისლა") და ლატო (მიელეცის „სტალი").

### მალე დაემშვიდობა

Მხოლოდ 6 კვირა იმუშავა ცნობილმა მწვრთნელმა სკოპინომ (ერთ დროს მისი ხელმძღვანელობით „კალიარი" იტალიის ჩემპიონი გახდა) „რომაში". იმის გამო, რომ ამ გუნდის მდგომარეობა სატურნირო ცხრილში არ გამოსწორდა („რომამ" ზედიზედ 4 მატჩი წააგო), სკოპინოს „რომას" დატოვება მოუხდა.

ახლა ამ გუნდის მწვრთნელად დანიშნულია ცნობილი შვედი სპეციალისტი ლიდჰოლმი.

### სტადიონებს ამზადებენ

243 მილიონი მარკაა გამოყოფილი იმ სტადიონების მოსამზადებლად, სადაც მსოფლიო პირველობის ფინალური შეხვედრები უნდა ჩატარდეს. ესენია დორტმუნდის, დიუსელდორფის, მაინის ფრანკფურტის, გელზენკირჰენის, ჰამბურგის, ჰანოვერისა და შტუტგარტის სტადიონები.

რაც შეეხება მიუნჰენისა და დასავლეთ ბერლინის ოლიმპიურ სტადიონებს, მიმომხილველთა ცნობით, მათ არავითარი გადაკეთება არ ესაჭიროებათ.

### ადგილი ვერ მონახა...

Გამოჩენილმა პერუელმა თავდამსხმელმა კუბილასმა, რომელიც ბრწყინავდა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში, ვერ იქნა და ვერ მონახა ადგილი შვეიცარიაში. „ფკ ციურიჰი", სადაც იგი გამოდის, აღფრთოვანებას არ გამოთქვამს პერუელის თამაშით, თანაც, კუბილასი ხშირად ლებულობს ტრავმებს. ასეთ პირობებში „ფკ ბაზელმა" ციურიჰელებს მიმართა თხოვნით, კუბილასი დაეთმოთ. მაგრამ ფასი საკმაოდ დაბალია, „ციურიჰის" ხელმძღვანელობას კი კუბილასი საკმაო თანხად დაუჯდა.

### გერსონის მძიმე ტრავმა

Ბრაზილიის პრესა იუწყება, რომ ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში მძიმედ დაშავდა ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი გერსონი. ნაკრების ხელმძღვანელობის აზრით, ახლა პრაქტიკულად გამოირიცხა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გერსონის მონაწილეობის შესაძლებლობა.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ პელეს უარისა და ტოსტაოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გერსონის ტრავმა მესამე უმძიმესი დანაკლისია ბრაზილიის ნაკრებისთვის, რომელსაც ზედიზედ გამოაკლდნენ „მექსიკის გმირები".

### „საჭიროა ანტიდოპინგური კონტროლი"

„Ბრაზილიის სპორტულმა კონფედერაციამ ანტიდოპინგური კონტროლი უნდა შემოიღოს", — განაცხადა „სანტოსის" მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა პეპემ.

პეპემ თქვა, რომ ბრაზილიის ჩემპიონატის ზოგიერთ მატჩში „სანტოსის" მოწინააღმდეგეები ისე გამოიყურებოდნენ, რომ აშკარად სტიმულატორი ჰქონდათ მიღებული. პეპემ მაგალითად მოიყვანა „სანტოსის" მატჩი რესიფეს „სანტა კრუზთან" და დასძინა, რომ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ფეხბურთელები ასე არ შეიძლება იქცეოდნენო.

### ვალკარეჯის აზრით

„Ვისთან ისურვებდით მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში შეხვედრას?" — ამას წინათ ჰკითხეს იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვალკარეჯის. „ავსტრალიის ან ზაირის გუნდთან", — გაიღიმა ვალკარეჯიმ.

ამ ფრთხილმა სპეციალისტმა დასძინა, რომ „სკუადრა აძურა" უეჭველად დაძლევს ფინალის პირველ ჯებირს და მოხვდება 8 საუკეთესო გუნდს შორის, შემდეგ კი — ვნახოთო.

Sport
SPORTSKE NOVOSTI
Népsport
Советский спорт



## მორიგი ტირაჟები

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 30 დეკემბერი. დღეს აქ ჩატარდა „სპორტლოტოს" 36-ე და „სპორტლოტო-2"-ის მე-8 ტირაჟები. გაგაცნობთ შედეგებს.

„სპორტლოტო": 11 (ველოსპორტი), 22 (ციგურაობა), 23 (მძლეოსნობა), 25 (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა), 29 (საპარაშუტო სპორტი), 33 (რაგბი).

„სპორტლოტო-2": 3 (აკრობატიკა), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 14 (ფრენბურთი), 27 (მოტოსპორტი), 30 (აფროსნობა), 37 (სროლა).

## 110 და 99 მეტრზე

ᲝᲑᲔᲠᲡᲓᲝᲠᲤᲨᲘ (გფრ) დაიწყო გერმანია-ავსტრიის ტრადიციული „ოთხი ტრამპლინის ტურნე".

პირველ ტრამპლინზე გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, 22 წლის ჰანს-გეორგ აშენბახმა, რომელიც 110 და 99 მეტრზე გადახტა.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 4 იანვარს.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

### კალათბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

2 იანვარს, 20 საათსა და 10 წუთზე თბილისის დროით, საქართველოს ტელევიზია გვთავაზობს საინტერესო გადაცემას — „გავეცნოთ პროფესიულ კალათბურთს".

ტელემაყურებლებს საშუალება ექნებათ იხილონ აშშ-ს პოპულარული კალათბურთელების რობერტსონის, რასელის, ლუკასის, ჰავლიჩეკისა და სხვათა ვირტუოზული ოსტატობა.

როგორც ცნობილია, აშშ-ს პროფესიულ კალათბურთში წამყვან გუნდებად ითვლებიან „ბოსტონ სელტიქსი" და „ცინცინატ როიალზი". აი, სწორედ ამ ორი კოლექტივის თამაშს ნახავს მაყურებელი.

### თბილისი სპორტულ ცხოვრება

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). სსრ კავშირის ქალთა XXXIII ჩემპიონატის ფინალი. 2-14 იანვარი. 2 იანვარს — XII ტური, 3-ში — XIII. დასაწყისი 16 ს.

### 3 იანვარს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ჩატარდება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ თემაზე: „კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი და ჩვენი დედაქალაქის სპორტსმენთა მორალური აღზრდის საკითხები".

დასაწყისი 18 ს.

Советский спорт
Sport
SPORTSKE NOVOSTI
Советский спорт

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02873